**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**# 22-270601**

ქ. თბილისი 27 ივნისი 2022 წელი

ერთის მხრივ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილის მისი დირექტორის მოადგილის ლაშა გუნიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „პისიშოპ.ჯი“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ხორგუაშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს 13-ე ბრძანების, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც განახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა;
1.7. ელექტრონული ხელმოწერა - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება;
1.8. ელექტრონული შტამპი - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით ლაზერული პრინტერების სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში საქონელი), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დასახელება, კლასიფიკატორის კოდი, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1), რომელიც თან ერთვის ამ ხელშეკრულებას წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **7250 (შვიდიათას ორასორმოცდაათი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2022 წლის 28 ივნისის ჩათვლით.

4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის ხარჯით შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16, მე-5 სართული, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“.

## 5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და შესყიდვების სამმართველოს საწყობის გამგე პაატა კერვალიშვილი.

## 6. ანგარიშსწორების წესი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის თანხის გადახდის შემდეგ.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

7.1.1. შეამოწმოს საქონლის მახასიათებლების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება;

7.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

7.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

7.4.1. გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

7.4.2. მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.1 პუნქტში.

7.4.3. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

7.4.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელებისას.

## 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლების და ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

8.2. ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და შესყიდვების სამმართველოს IT სპეციალისტი ზურაბ თოდაძე.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ინსპექტირებისას არ გამოვლინდა საქონლის ნაკლი ან/და დეფექტი, შემსყიდველი ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც მიუთითებს უნაკლო საქონლის რაოდენობის შესახებ.

## 9. გარანტია

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელი შესაბამისობაში იქნება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ტექნიკურ პირობებთან.

9.2. საქონელზე გარანტია ვრცელდება 1 (ერთი) წელი მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფომების დღიდან.

9.3. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საქონლის ექსპლუატაციისას, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დაზიანების აღმოფხვრა ან/და დაზიანებული საქონლის ჩანაცვლება ანალოგიური პარამეტრების მქონე ახალი საქონლით შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე, შემსყიდველის წერილობით ან/და ელექტრონული შეტყობინების მიღების დღიდან მხარეთა შორის განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.5. მხარე ვალდებულია 12.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
12.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 15. უფლებების გადაცემა

15.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.
15.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელნიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 16. შეტყობინების განხორციელება

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
16.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ლაშა პაპელიშვილი (ტელ.: 599 88-88-96; ელ. ფოსტა: lpapelishvili@lta.gov.ge), მიმწოდებლის მხრიდან - ხათუნა ოშხარელი (ტელ.: 599 92-18-36 ელ. ფოსტა: tamta.goguadze@pcshop.ge).

16.3. მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
16.4. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 17. დამატებითი პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.
17.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

**შემსყიდველი:**
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში #707217057

**მიმწოდებელი:**
შპს „პისიშოპ.ჯი“
ს/კ: 205198481
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #16
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE27BG0000000184252600

დირექტორის მოადგილე
ლაშა გუნია

Lasha Gunia 01025010715
Digitally signed by Lasha Gunia
Date: 2022.06.27 16:21:37

დირექტორი
ზურაბ ხორგუაშვილი

PCSHOP.GE LLC
Digitally signed by PCSHOP.GE LLC
Date: 2022.06.27 15:45:40 +04'00'

## ფასების ცხრილი

| N | CPV კოდი | დასახელება | ტექნიკური მახასიათებლები | რაოდ. | ერთ. ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 30232110 | ლაზერული პრინტერი | HP LaserJet Pro MFP M428dw Printer - A4 | 5 | 1450 | 7250 |
| **ჯამური ღირებულება** | | | | | | **7250** |